თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

XX საუკუნის მეორე ნახევრისა და XXI საუკუნის პირველი ათწლეულის პერიოდის ცნობილ ქართველ ეკონომისტთა შორის პროფესორ ვალერიან ადვაძეს ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია, როგორც მეცნიერს, პედაგოგს და, განსაკუთრებით, საზოგადო მოღვაწეს.

პროფესორი ვალერიან ადვაძე დაიბადა 1931 წლის 17 თებერვალს, ახალქალაქის რაიონის სოფ. პეტნაში.

ბატონი ვალერიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე გამოირჩეოდა განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით, ნიჭიერებითა და მიზანდასახულობით, მიზნის მისაღწევად თანამიმდევრული და დაუოკებელი ბრძოლისუნარიანობით, მუდმივი სწრაფვით ცხოვრების მიერ მის წინაშე დაყენებული თუ მის მიერვე საკუთარი თავის წინაშე დასახული ახალ-ახალი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად მუდამ მზად ყოფნით. მთელი მისი ხანგრძლივი ცხოვრება ყოველივე ზემოთ აღნიშნულის დადაასტურებაა, რასაც ცხადჰყოფს მისი შრომისა და მოღვაწეობის უბრალო ჩამოთვლაც კი. მან 1953 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 1953-1956 წლებში იქვე სწავლობდა ასპირანტურაში. 1956-1988 წწ. მუშაობდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, დოცენტის, პროფესორის და სახალხო მეურნეობის ისტორიისა და ეკონომიკურ მოძღვრების ისტორიის კათედრის გამგედ. ერთდროულად, 1978 წლიდან, იყო საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკის დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1980 წლიდან – დირექტორი. 1984 წლიდან იყო საქართველოს სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა თსუ-ში ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებულ საბჭოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული უმაღლესი საატესტაციო კომისიის ექსპერტი.

პროფ. ადვაძის კვლევის ძირითადი სფერო იყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეკონომიკა, საქართველოს ეკონომიკის ომისშემდგომი განვითარების პრობლემები, პერსპექტივები, საქართველოსა და მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური ისტორიის საკითხები.

ბატონი ვალერიანი უაღრესად აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწე გახლდათ. სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობის პარალელურად ის ყოველთვის ინტენსიური და მასშტაბური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებით ცხოვრობდა. 1989 წ. აირჩიეს საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატად და სსრკ უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს წევრად. 1991 წ. იყო საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი. 1992 წლიდან საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის თავმჯდომარე (1992-1993 წწ.), რუსეთის ეკონომიკურ მეცნიერებათა და სამეწარმეო საქმიანობის აკადემიის აკადემიკოსი (1991 წ.), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (1992 წ.), 1993-1994 წწ. საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში, 1994 წლის დეკემბრიდან საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კომიტეტში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი ვალერიანი, შეიძლება ითქვას, დიდოსტატურად ახერხებდა ყოფილიყო, ერთი მხრივ, უაღრესად თავგამოდებული დამცველი თავისი შეხდულებებისა და პოზიციებისა, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საქმიანობაში, ისე მეცნიერულ მუშაობაში და, მეორე მხრივ, დიდი პატივისცემით და ანგარიშგაწევით მოჰკიდებოდა განსხვავებულ შეხედულებებსა და პოზიციებს საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. ამის ნათელმყოფელი მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პოლიტიკური მომავლის პერსპექტივებზე ბატონ ვალერიანსა და მე პრინციპულად განსხვავებული შეხედულებები გვქონდა ეს სრულებით არ გვიშლიდა ხელს, როგორც ადამიანებს და მოქალაქეებს, სავსებით ნორმალური და მეგობრული ურთიერთობა გვქონოდა, გამომდინარე მისი ჰუმანური, დემოკრატიული, ლიბერალური ბუნებიდან. ყოველდღიურ ურთიერთობებში არც სიტყვით, არც საქმით არ გაგრძნობინებდა იოტისოდენა უკმაყოფილებას, პირიქით, შეიძლება ძნელად დასაჯერებელიც კი იყოს, მაგრამ სინამდვილეში ხაზგასმული სიმპატიითაც კი გექცეოდა. ამ მხრივ, მისი მსგავსი პიროვნების წარმოდგენაც კი ძნელია.

ჩვენს ურთიერთობაში ერთადერთი წყალგამყოფი იყო საქართველოს პირველ პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ პრინციპულად განსხვავებული პოზიციები.

ბატონი ვალერიანი ფიქრობდა, რომ საქართველოს გზა მსოფლიო პოლიტიკაში რუსეთზე გადიოდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ის პრინციპულად საქართველოს დამოუკიდებლობის გულმხურვალე მომხრე იყო. მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანის დასაწყისში ის ფიქრობდა, რომ საქართველოს მაშინვე შეეძლო დამოუკიდებლობა მოეპოვებინა ის ხალხმარავალ მიტინგებზე ხმამაღლა გაიძახოდა: „თუ ბურკინა ფასოს ეკუთვნის დამოუკიდებლობა, საქართველო, თავისი სახელმწიფოებრიობის დიდი ისტორიით, ამას უფრო არ იმსახურებდაო?“ მაგრამ თანდათან უფრო დააზუსტა მან თავისი შეხედულებანი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვების ვადებზე. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში სხავდასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობისას (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი (1992 წ.), საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი და ეკონომიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე (1992 წ.), საქართველოს რესპულიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთის ფედერაციაში (1993-1994 წწ.), საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი დსთ სახელმწიფოთა შორის ეკონომიკურ კომიტეტში), ისეთი შეხედულებები ჩამოუყალიბდა, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობასა და თავისუფლობაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო თანდათან, ამისთვის საშინაო და საგარეო ობიექტური და სუბიქტური პირობების ჩამოყალიბების კვალობაზე. ალბათ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გარკვეული, განსხვავებული აზრისთვის მისაღები ლოგიკა, და ამდენად, ასეთ მოსაზრებებს არსებობის უფლება ჰქონდა, მაგრამ,

ჩემი შეხედულებით, ეს იყო მაშინდელი, და, მით უმეტეს, მომდევნო პერიოდის, საქართველოსთვის მიუღებელი თვალსაზრისი. რადგან, როგორც შემგომ განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურეს, არც მაშინდელი და არც დღევანდელი რუსეთი მზად არ არის ყოფილი საბჭოთა რესპულიკებისთვის, და მათ შორის საქართველოსთვის, დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მინიჭებისთვის, მას, ჯერჯერობით მაინც, თავისი იმპერიული ბუნებიდან და ზრახვებიდან გამომდინარე, არ სურს თავისი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური გავლენებისაგან გაანთავისუფლოს არა თუ ყოფილი ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ ნებისმიერი, მით უფრო, შედარებით პატარა, მეზობელი სახელმწიფო.

უეჭველად, ბატონი ვალერიანი, როგორც ქართველი, დაინტერესებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოპოვებით, დასავლეთის ქვეყნებთან ურთიერთობების დამყარებით, მაგრამ, ის ფიქრობდა, ეს უნდა მომხდარიყო რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებით და მისი მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ამ აზრის მატარებელი პოლიტიკოსები დღესაც არიან და ეს არც არის გასაკვირი. ბევრს, და მათ შორის მეც, ასეთი მოსაზრება არასწორად და არარეალურად მიგვაჩნდა. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ რუსეთი იმპერიული და კოლონიური ავადმყოფობებისაგან არ განთავისუფლდება. საქართველო ვერ დაელოდებოდა ზემოთ აღნიშნული მანკიერებებიდან რუსეთის განკურნებას, რისი შესაძლებლობაც ჯერჯერობით ჰორიზონტზეც არა ჩანს.

აი, ამ საკითხებში გვქონდა ჩვენ პრინციპული უთანხმოება ბატონ ვალერიანთან. მაგრამ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ კამათის დროს, როგორც ადრეც აღვნიშნე, ის უაღრესად პრინციპული და უკან არდამხევი იყო, კამათის დამთავრების შემდეგ ის გულში არავითარ ხინჯს არ იტოვებდა, პირიქით, ძნელად დასაჯერებლად მეგობრულ ურთიერთობებს ინარჩუნებდა, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, სავსებით ბუნებრივად. მას განსხვავებული შეხედულებების გამო არავისთან ურთიერთობა არ გაუარესებია. ეს იყო მისი ერთ-ერთი უარღესად დადებითი და ჰუმანისტური ღირსება.

არ შემიძლია არ გავიხსენო ერთი საინტერესო ამბავი. 1989 წელს, როდესაც მიუხედავად ჩვენს შორის უკიდურესად თბილი, თანამშრომლური ურთიერთობისა (ის როგორც დირექტორი და მე როგორც განყოფილების გამგე), ჩვენ სწორედ მაშინ გვქონდა, როგორც ზევითაც აღვნიშნე, პრინციპული უთანხმოება ეროვნული მოძრაობის ლიდერების, შეფასების საკითხში. მიუხედავად ამისა, თავისთან მიხმო ბატონმა ვალერიანმა და შემთავაზა სამეცნიერო ნაწილში დირექტორის მოადგილის თანამდებობა. სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების მოშველიებით უარი ვთქვი ამ შემოთავაზებაზე, ბატონმა ვალერიანმა უკანდასახევი ყველა გზა მომიჭრა და შემოთავაზება მივიღე.[1] ბატონი ვალერიანი, არც მეცნიერებაში და არც პოლიტიკაში განსხვავებულ პოზიციებზე დგომის გამო, არავითარ დისკომპორტს არ შეგიქმნიდა, პირიქით, უფრო საინტერესოს ხდიდა თანამშრომლობას. ეს იყო მისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება, როგორც მეცნიერის, პოლიტიკოსის (საზოგადო მოღვაწის) და როგორც ხელმძღვანელისა, რაც არც ისე ხშირი მოვლენაა ჩვენს რეალობაში და საერთოდაც.

რაც შეეხება ბატონი ვალერიანის მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ეს სპეციალური კვლევის საგანია. ზოგადად უნდა ითქვას, რომ აქაც ბატონი ვალერიანი გამოირჩევა თავისი ორიგინალურობით, თავისთავადობით და ჭეშმარიტებისათვის ერთგული სამსახურით, რაც ნამდვილი მეცნიერის თვისებაა. დარწმუნებული ვარ, ამის შესახებ სათანადო გამოკვლევები დაიწერება და ღირსეულად შეფასდება პროფესორ ვალერიან ადვაძის დამსახურება.

გურამ ყუფუნია
სტუ-ს სრული პროფესორი

[1] მე ყოველთვის მერჩივნა უფროსისგან მიმეღო დავალება და ის, ჩემი შესაძლებლობის ფარგლებში, ხარისხიანად შემესრულებინა, ვიდრე ათეულ თანამშრომლებზე გამენაწილებინა დავალებები და მერე, უმრავლეს შემთხვევაში, სხვის მაგივრად მე მეკეთებინა და პასუხისმგებლობა მეტარებინა.